


საქართველო

სურათებიანი ლაბათეა

გაზეთის № 177

ლაბათების № 10

პარასკევი, 25 ქრისტეშობისთვე 1915 წ.



ამონაპნასი

მოთქმაა ჩემი სიმღერა,
ამოკენესა სულისა,
სიმაღ გაპბია ჩემს ჩანგურს
ნაწრთობი ტანჯულ გულისა.
ველი მესსიას, ერის მხსნელს,
ვერ მსპობს სიმდაფრე წყლულისა,
მითერიაყებს სამსალას
აჩრდილი დაფარულისა...

როს ზეცა გულ-მეგრდს იოკავს
თელეზით და მარგალიტებით,
როს ცისკრის ზარი თანდათან
პრეკს საზეიმო დიდებით, —
თვალს აღმოსავლეთს მივაპყრობ,
ვეძებ აჩრდილსა ყრმისასა...
და, ვით ისრაელ, დავტირი
ნანგრევთა ტაძრებისასა...

მოთქმაა ჩემი სიმღერა,
ამოკენესა სულისა...
ველი მესსიას, ერის მხსნელს,
მკურნალად ჩემის წყლულისა.

განდევილი.

ლამდება, სული შფოთდება!
გული კენეს-მგლოვიარდება!
გონება ფიქრებს ეძლევა,
ფიქრები ათასგვარდება:
არ ვიცი, ან სად იწყება!
არ ვიცი, ან სად თავდება!
ფიქრი და ფიქრი, სულ ფიქრი...
სევდიანები, შავები...

მწარე ფიქრების უღელში
თავი წაყვავ და გავები,
ვერც წინ მივდივარ, ვერც უკან,
ციხის კედლებში დავები!

შიო მღვიმელი

გახსოვს ის ბალი, დაჩრდილული მწვანე ფოთლებით,
მწვანე ფოთლებით დაჩრდილული, ქალაქის გარედ?
შენ თავს ირთობდი იქ მისის ვარდ-ყვავილებით,
მე კი ვით უცხო უნუგეშოდ ვკენესოდი მწარედ...

რომ შემძლებიყო დავიწყებას მივცემდი თავსა;
ალარ მინდობდნენ ტკივილები ნორჩი გულისა...
ოჰ, რა უღროვოდ და უღმერთოდ ვიტანჯებოდი,
მონატრე ვიყავ სანუგეშო მყუდრო რულისა!...

ქნარი.

ალილოზე.

ლეს ჩვენ

ლეს ჩვენ ბევრი ვართ, ჩამოვშორდით ძველსა დროებს,
ვლესასწაულობთ სულით შობას და განახლებას;

რაღა ხელი აქვს ჩვენთან ნაღველს ან მყუდროებას,
ის უკვე მოდის! ვინ შეზღვდება, ვინ ეტყვის ქებას?

ვერა ვსცემ პატივს, ვისი ყოფნაც დაქინებულა!
იქვე ქედს იხრის, სადაც ერთხელ შევიწებულა!
როს ანგრევს, ჰგონებს მისგან ერი აშენებულა!

თვით აზროვნებით მონურია ძველი სოფელი!
განწმენდის ცეცხლი! ცეცხლის ალი დაუნდობელი!
დაე, შიგ მოჰყვეს უსასო და ჩვენი მემობელი!

სანდრო შანშიაშვილი.

რაბინდრანათ ტაგორის ლოცვა

იქ, სადაც სული უშიშარია და ადამიანებს თავი სწორედ უჭირავთ;
იქ, სადაც მეცნიერება-სწავლანი თავისუფალია;
იქ, სადაც სიტყვანი ჭეშმარიტების სიღრმიდან ზე-აღმოდიან;
იქ, სადაც ადამიანები ხელებსა სრულყოფისაკენ დაუცხრომლად თვით-განაპყრობენ;
იქ, სადაც წყარონი გონებისა არ ინთქებიან დამყაყებულ ჩვეულებათა ქვიშობებში,
იქ, ასეთს სამოთხეში, მიეც, მამაო, ჩემს ხალხს გამოფხიზლება!..

ივ. როსტომაშვილი.



ყოველად წმინდა
ნახატი სოლარიოსი.

ლეილ-მიჯნუნიანი

სპარსული რომანი ლექსად თარგმნილი მეფის
თეიმურაზ პირველის მიერ.*)

ველად გაჰრა მიჯნუნისა.

- 31. ამას იქით ლექსთა სიტყვა სხვა ამბავზე მოკიდულა, მიჯნუნისა გულსა წყლულსა ცეცხლი ცხელი მოკიდულა: მან ლეილი ველარ ნახა, ვერცა თვალი მოკიდულა, გლახ, მოუნდა ველად გაჰრა, მხეცთა მოყვრად მოკიდულა!
- 32. ტირს, უძახის ვითა ხელი (ქვეა დაჰკარგა, სრულად ცნობა), ვინც აჩვენა მისი მკვლელი ან ამბავი ვინც აცნობა. აწ შეეტყო მისი საქმე, არა ჰქონდა მისი ფლობა, მას სდიოდა თვალთა სისხლი, ცრემლთა ლამში მიეფლობა.
- 33. „დამეკვთა შენი ნახვა, აწ მე რა ვქნა, ჩემო მზევ, და, ცრემლით სველი უბე-კალთა არაოდეს გამიმზევდა, სული მორბის სწრაფით მანდით, გული კრული შენსკენ მწვედა! რადგან თვალნი შენ ვერა გჰკერტს ხამს ღბნელდეს რაღას მზევდა“.
- 34. მას სიკოცხლე აღარ უნდა, მოიცალა სულთქმა-კვნესად, ქვად შეჰქნოდა გული, ტალად, თვით აბედად, ეშხი—კვესად, ჰკიდავს ტვირთი სურვილისა სხვათ მიჯნურთა უმძიმესად, იტყვის მომცა ბედმან ხელქმნა, აწ გავეპრე ნეტავ მე სად?
- 35. მიიზბენდის სასწავლოსა სად ენახის იგი მთვარე, ტიროდის ზე თავს აწყვეტდის, მას სიკოცხლე ჰქონდის მწარე, იგ უებრო სიყმე-სიმხნე მისთვის იყვის მოუხმარე, შესტიროდეს დედ-მამანი: „ჩვენ დაგვხოცე უწინ ბარე“.
- 36. მიახლოვდეს მას ადგილსა სადა ორთავ ეთამაშა, იგი კოცნის იატაკსა სადა ფერხით დაემაშა. იგლიჯოდეს დედმამანი სხვა რა ექმნით ნეტავ მაშა არ უსმენდის იგი ხელი, რომე სიტყვა დაემაშა.
- 37. დღე ერთ იყო თავის წინა გლახ მიჯნუნი სახლსა მჯდომად, დღე და ღამე განუწყვეტლად მას ცრემლი სდის დაუდგომად, იგ საწყალნი დედმამანი მას ახლიან გვერდსა მდგომად გაუძნელდა სურვილიცა სენი სჭირდა გულსა მჯდომად.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. დამატ. „საქართველო“-სი № 8.

ამონ და ასა

I

ბეთლემში არაჩვეულებრივი მოძრაობა იყო: მიდამოებიდან თუ ჰურიასტანის შორეულ ქვეყნებიდან დიდძალ ხალხს თავი მოეყარა, ბევრი უადგილოც დარჩენილიყო და ასე ცის ქვეშ ქუჩა-ქუჩა თითქმის ყველა უბანში ცეცხლი დაენთოთ ზე მოუსვენრად მსჯელობდნენ იმპერატორ ავგუსტის ბრძანების გამო:

- რას ნიშნავს ეს აღწერილობა?
- უთუოდ ახალს უბედურებას უნდა მოასწავებდეს...
- ამბობდნენ ერთნი:
- იროდმა გაგვიცადა, სულ იროდის ბრალია... მაგას ჩვენი სისხლი არ უჩქედს... ეგ ებრაელი აღარ არის...
- ეგ უცხოს ეყმო, უცხო გახდა, უცხოა ჩვენთვის...
- სიკვდილიც კი ცოტაა მაგისთვის...
- აჰ, აღონის... აღონის...

ფიქრებს ჰყვებოდნენ. მწუხარებით გაიხსენებდნენ წარსულს და აწმყოს, რომელიც საზოგადოდ სავსე იყო კაენის სიმწარითა. ძველად წინასწარმეტყველებით მაინც ინუგეშებდნენ თავსა, დღეს ესენიც არ სჩანდნენ.

- მოკვდა მაკაველი და ჩვენც უპატრონოდ ვართ...
- ნეტავ რად სცრუობდნენ ჩვენი წინასწარმეტყველნი, აკი დაგვიბრდნენ, უამსა გაჰირვებისასა მოვა მეუფე ქვეყნიერების მძლეველი, მეუფე ჰურიათა, რომელიც იერუსალიმის ტაძარს ქვეყნიერების სალოცავად გაჰხდისო! სადაა ეს მეუფე? სადაა მესსია? დავიღალეთ ლოდინით... ეხლა გვჭირია მისი თავი...
- ნუ შეურაცყოფთ მეუფესა,— წამოიძახა ერთმა მოხუცმა რაბინმა, რომელიც ცეცხლის პირად ლოცვად დამდგარიყო და თოვლივით თეთრს წვერს თხსავით აცანცარებდა:
- წინასწარმეტყველნი არ სცრუობდნენ: მესსია მოვა...

II

მხოლოდ მწყემსები იყვნენ უღარდელად. ქალაქ გარედ გორაკის კალთებზე საქონლისთვის თავი მოეყარათ და უზრუნველად გაჰყურებდნენ ვარსკვლავებით მოჭედის ცას. მათთან ბეთლემის ხმაურობა ოდნავაც ვერ აღწევდა. იღუმალების მეუფება თავის კვერთხს სცემდა და საიდუმლო ნარნარ ზღაპრებს ვარსკვლავთა ენით მოუთხრობდა ქვეყნიერებას.

ირგვლივ გორაკთა კალთებზე თუ შანთიან ნაპრალებზე ღამის მძიმე ღრუბლები მისვენებულნი იყვნენ. შორს, თვალუწყდენელს სიშორეზე, მწვერვალთა ხრახნილზე ბურუსი სთვლიდდა

და თოვლიან სარტყელს მძინარე ნიავის ფრთით ფიფქს უფარცხნიდა.

— ამონ, მოდი ახლოს, სთქვი რამე,— გასძახეს მწყემსებმა ერთს განმარტოვებულს ამხანაგსა.

ამონი ამხანაგებში მეოცნებედ ითვლებოდა. იგი ეხლაც განცალკევებით წამოწოლილიყო და ასე გულაღმა შეჰყურებდა ცას ვარსკვლავთა სათელელოდ. უყვარდა მყუდროობა, სიგრცეში ჩანთქმა. როგორც გუშაგი კაბადონისა ეხლა იგი დუმილის ერთადერთ და რაჯს დაემსგავსა, ერთადერთ ცოცხალს არსებას, რომლის სულიც განშორებოდა მის სხეულსა და ასე ლაღად, მთის არწივის სრულ სიდიადით, ჰხარობდა უადრეს შეგნებით, რომ მეფე იყო ბუნებისა, იღუმალის გამგებელი, მეუფე სივრცის, მყუდროების და მართობის. ბედნიერი და მწუხარე რაღაც გამოურკვეველი კაემანით იგი ფაფარ აშლილ ლომსავით დაჰქროლავდა ნაპრალით-ნაპრალს და თვითეულს კამარზე, თვითეულს ფრთის მოქნევა-მოძრაობაზე ჰსვამდა ზე სკლიდა გამოუთქმელ ნეტარების თასს:

— რახილ, რახილ, ეს ხომ შენა ხარ, შენ, ეს კიდევ ჩვენი პირმშო, ჩვენი ტრფიალების ნორჩი ყვავილი—ფარეზი!—ესაუბრებოდა განუწყვეტლივ ამოჩემებულს შუქურ ვარსკვლავს, რომელსაც მახლობლად პატარა მნათობი კიალით შესცქრიალებდა: ახ, ნუ მიხვალ, ნუ, ნუ, — უთქვია ხშირად, როდესაც განთიადს პირზე მკრთალი მანდილი მოუსხია, — დაბრუნდი ჩემო სანთელა გედო, დაბრუნდი, დამიბრუნე ჩემი ფარეზი ვიდრე ცის საიდუმლო ზვირთთა სრბოლა მომტაცებს შენს თავს...

მაგრამ ცას მისთვის არ ეცალა და ეთერის ფრთით ნელ-ნელ სცელავდა ლაქვარდ ხომლის ვერცხლის ყანასა.

III

მწყემსებს ჩაეძინათ, მაგრამ ამონს რული ოდნავაც არ მიჰკარებია. სფეროთა მუსიკას ზმნების სონეტებით მოეჯადოებინა იგი. აგერ, ამეტყველდა მისი საყვარელი შუქური—რახილ და მას თან აჰყვა ფარეზიც. ამონს ჟრუანტელმა დაურბინა. იგი ასე მშვენიერი არასოდეს არ უნახია. ციავი ფარეზი შუქურს ისეთის განცვიფრებით და ნარნარი სახით შეჰყურებდა, როგორც ერთხელ განთიადისას, შორს, ლიბანის კეთროვანებში, ერთს წყაროს პირს ნახა ქანდაკად მოკვეთილი მშვლის ნუკრი, რომელიც ბუნების ჰარმონიას ყოველ ატომით ისუნთქავდა ზე სამადლობელ გუნდრუჟად ორს გიშრის ტბას ღვთაების ალით აავზნებდა.

— ფარეზ, ფარეზ... შენ ასე კარგი არასოდეს არა ყოფილხარ!

შესძახა ამონმა და ნახევრად წამოწული პატარა ვარსკვლავს დააკვირ-

და. უცნაური იყო. ცამ ნელ ნელ პირი იკრთო. თვით რახილ-შუჭურიც კი გაჰქრა. ფარეზი კი იზრდებოდა, თანდათან ფოსფორის სხივებს კოცონსავით ინთებდა და აჰა, მოწყვეტილ ქვეყნის ალათ აივსო იგი. თრთოლვამ მოიცვა.

— ფარეზ... ნუთუ?!..

ის კი იზრდებოდა და იზრდებოდა.

— არა, ეს დაუჯერებელია... შეხეთ, შეხეთ... სადღაც მისცურავს...

ბეთლემისაკენ... ბეთლემისაკენ...

ამონი წამოხტა. ამხანაგებს მიაშურა. ესენიც წამომდგარიყვნენ და ახლა მუხლმოყრილი ერთმანეთს შიშით მიჰყუებოდნენ.

— ხომ ხედავთ... მართალია?

იკითხა ამონმა.

— ჰო, ჰო, ჩვენც ვხედავთ, ჩვენც...

— ეს უბედურობის წინამორბედი... ამასობაში ცა გაიხსნა. ვარსკვლავის ბრწყინვალეობა ანგელოსები ჩამოჰფრინდნენ და ციური ხმით მოჰყვნენ ღალადს: „დიდება მალალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედამშვილობა და კაცთა შორის სათნოება“...

ყველანი გაფითრდნენ. ასეთი სანახაობა სიზმარშიაც არ მოჰლანდებიათ. მათ სახეს ბრწყინვალე შუქსა ჰფენდა ღვთაებრივი დიდების თვალის მკრედი შარავანდელი. ბრწყინვალე სულნი უკვდავების ნარნარებით მიმოჰქროდნენ ვერცხლის ღრუბლებით და კოცონად აღვზნებულს ცის გულთან იზიდებოდნენ.

— ნუ გეშინიანთ, იხარებდით, მესსია იშვა...

უთხრა ზარდაცემულთ ციდან მოფრენილ ანგელოზმა.

— მესსია იშვა?

ყველა გაქვავდა.

— მღვიმე, სადაც ღამეს ათევებთ ჩვეულებრივ ავდრიან დღეში და ბაგა ცხოვართა თქვენთა გახდა აკვანი ციური მეუფისა თქვენისა. წარვედით და თავყანი ეცით მას... მისდით ვარსკვლავს მეუფისას...

ტკბილმა, დამატრობელმა ჟრუანტელმა დაუარა მომავალ ქრისტიანებს.

ამონი პირველი წამოვდა. ამხანაგებიც აჰყვნენ. აჩქარებულის ნაბიჯით ჯემართნენ იქით, საითაც ღიადი ვარსკვლავის ვერცხლის ნავი გრძნეულ ღირალდნით მისცურავდა.

IV

— რახილ, წავიდეთ, თავყანი ვსცეთ... ფარეზიც ვახლოთ მეუფესა ჩვენსა, — აღტაცებით შესძახა ამონმა შინ შესვლისას. ახალგაზრდა ცოლი გულზე მიიკრა, შემდეგ პირმშოს დაუწყვეს კოცნა:

— იეშუ. მეუფე ჩვენი, შენს სწორად იშვა, ერთად აიზრდებით, ბედნიერო, შენ ნახავ მის დიდებას, როდესაც ქარიშხლის ფრთით და შურის მაძიებელ ლახვარით გულს გაუპობს ავგუსტს და იროდს, როდესაც ელვის ისრებით, ცეცხლ მფრქვეველი ეტლით გამოუქროლებს ჩვენს მწვანელებს, როგორც მრისხანე იეგოვა სინას მწვერვალზე. აი, ეხლავე ვხედავ მას განდიდებულს, ძლევა მოსილს, ვის წინაშე თვით სიკვდილიც თრთის. დიახ, ის არის, ის, აღთქმული მაცხოვარი, აღთქმული მეფე... იეშუ... იეშუ...

V

ყოველ დღე დადიოდნენ პატარა იეშუს თავყანის საცემლად. რახილ ნეტარებდა. ამონი ფარეზს მკლავიდან არ იშორებდა და მისვლისათანავე დაემხობოდა თუ არა მრავალ თავყანისმცემლების გვერდით, ბავშვს დაუწყებდა კოცნით ჩურჩულს:

— უყურე, გამახარე, ეს შენს ვარსკვლავზე დაიბადა, შენ უნდა ასახე-

ლო მამა, გამოხვიდე ჰურიასტანთა საყვარელი მებრძოლი გმირი...

იეშუს თავყანის საცემლად მთელი ქვეყნის კუთხეებიდან მოედინებოდნენ. მღვიმე და ბაგა სასწაულთა მოქმედების ადგილი გახდა. ანგელოზთა ქანარის ნარნარი სიმები სამხიარულო მელოდებით აღტაცების სამოსელს ჰქსოვდნენ. უმანკო ფარეზიც კი ატიკტიკდა და სხვა ბავშვთან ერთად ბავსთან გაშლილ კრავებს ეთამაშებოდა. უჩინარნი სულნი გაზაფხულის სუნნელოვანებას მოაქმედდნენ, ვარსკვლავიდან ვარსკვლავზე მიმოჰფრენდნენ და თან სიყვარულისა და სიხარულის ყვავილებს სთესდნენ.

— იხარებოდნენ ქვეყანა... იშვებდნენ, განახლებულნი სიონ, მეუფე შენი საყვარელი მოვიდა შენს ხსნად!.. და ამ ღალადის გამოქვაბულიც იღუმალის ხმით იმეორებდა.

VI

ღილის ნივთა დაუბერა და განთიადის ვარდისფერი ქსოვილი ღრუბლები ბეთლემის თავზე მიმოჰფანტა. სხივთა ლეჩაქი ნარნარებით ვარს ეხვეოდა ოდნავ მსუნთქავს მყუდროებასა. მღვიმისკენ დარაზმული ხალხი ჩვეულებისამებრ მიეჩქარებოდა და საწირავს ეზიდებოდა ახლად შობილის დასამწყალობლებლად. ამონს რახილს წყვილი მტრედით დაეტვირთათ პატარა ფარეზ, რათა მას საკუთარ ხელით მიეძენა მომავალ მბრძანებელისთვის. აგერ მიადგნენ მღვიმის კარსაც. ამონმა არაჩვეულებრივი ჩოჩქოლი შეჰნიშნა. ჰხედავდა, თავყანისმცემელნი ირეოდნენ, ზოგნი აღშფოთებით უკან ბრუნდებოდნენ.

— რა ამბავია? ჰკითხა გამვლელს.

— მღვიმე დაცარიელდა... იეშუ მოჩვენებასავით გაჰქრა...

— გაჰქრა?

— იქ კი აღარავინ არის და... ამბობენ, ცა გაიხსნა და ანგელოზებმა ისევ უკან აიტაცესო.

— ვაი ჩვენს თავს... ამონი გაფითრდა.

— ეს კარგს არას უნდა ნიშნავდეს... ნუ თუ ის არ იქნება ჩვენი მხსნელი? მერე ის ხმები... ის აღთქმა... რად გვიგალობენ სათნოება, თუ კი სათნოების მომცემი მესსია ისევ ცაში დასჭირდებოდათ?

გამვლელმა პასუხი ვერ მოასწრო, რომ ხმაურობა ასტყდა.

— ეს რაღას ნიშნავს!?

— ხალხო, თავს უშველეთ... უშველეთ თავსა...

მიიხედეს, თითქოს ცეცხლი მოსდებოდა, ხალხი ისე დაფრთხალიყო, წვივლ-კვივლი ცასა სძრავდა.

— უშველეთ თავსა!..

— უბედურობა... უბედურობა...

— ვარსკვლავი სხვა რამეს მოასწავებდა...

— იროდმა გაგვიდა...

— სიკვდილი იროდს... სიკვდილი ავგუსტს...

— მოლაღატენი... მოლაღატენი...

— შვილებს გვიკლავენ... თავს უშველეთ...

ამასობაში გამოჩნდნენ რომაულ წესრიგზე გამოწყობილი მხედრები, რომ-

მელნიც გახლებული დაქრუნდნენ, დავისაც ბავშვს ხელში დაუნახებდნენ. სტაცებდნენ და შუაზე ჰკაფავდნენ.

ყველგან ხელჩართული ბრძოლა იმართებოდა. ჯოჯობეთური სურათი გაიშალა, როცა გაოგნებული დედები ღრიალით გაეშვნენ ბეთლემის ქუჩებში და გამოურკვეველი კვილით ყველას აფრთხობდნენ, აგვიებდნენ.

— ფარეზ, ვაჰიმე...

შეჰკივლა რახილმა, როცა ერთი ჯარისკაცი წასწვდა მის პირმშოს. გაფითრებული ამონი მხოლოდ ეხლა მოვიდა გონზე.

— შესდექ, გაგაქრობ, — დაუჰკივლა ხელ ჯარისკაცსა.

ჯარისკაცი მოტრიალდა და მახვილი იბრუნა მისკენ, მაგრამ ვიდრე ნაბიჯი გადასდგა, ჩომბახი თავზე დაუშვა ამონმა და იქვე გონ-დაკარგული გააგორა.

— ეს არ გინდოდა, უბედურო... წავიდეთ, რახილ...

აცახცახებულს რახილს ისე მაგრა მიეკრა ფარეზი, თითქოს მისი გულში დამალვა მოუსურვებიაო.

— სად წახვალთ, სადა!

— დასწყვილა ახლა თვის მხრით მეორე ჯარისკაცმა, რომელმაც თვალი შეასწრო ამონის ჩხუბს და ამხანაგის მარცხს და სისხლის ასაღებად გამოქანდა. ამონი ახლა ამას მოუტრიალდა ჩომბახით, მახვილი გააგდებინა, მაგრამ შემდეგ ხელ-და-ხელ შეეტაკა. ბრძოლამ რამდენიმე წამს გასტანა. ამონი ბოლოს ყელში წასწვდა და მარჯვედ ფრჩხილები ჩაუყარა. მხოლოდ მაშინ, როცა მეტოქე დაბარბაცდა და თვალზე-გადაკარგული წასაქცევად მუხლზე დაეცა, ამონმა ხელი გაუშვა და შეძრწუნებით დაიძახა:

— ასა, ნუთუ შენ... ძმაო... ძმაო ასა... აჰ...

მაგრამ სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ ასას მოდუნებულმა მაჯამ უკანასკნელი ძალონე მოიკრიბა და გრძელი დანა ელვის სისწრაფით ქვედან გულში გაუტარა და მასთან ერთად გაიშხლართა სულ ამოსული.

VII

ამონს სისხლმა დაუწყო ჩქეფა. კრიკა შეეკრა. ორიოდ სიტყვითაც ვერ ანუგეშა რახილი. მომაკვდავს მხოლოდ უკანასკნელ წამებში აუთამაშდა ტუჩზე ღმილი, თითქოს სიკვდილის უამს გაიხსენა ანგელოზთა სანახაობა და მათს ღალადისს და მომხიბვლელს აღთქმას ცივი კაეშნით დასცინისო.

ამასობაში ჯარისკაცი მორჩნენ ამ უბანს. პატარა ფარეზიც აიკაფა. გაგიჟებული რახილ პირუტყვის ბლუილით გაიჭრა ბეთლემის გარედ. მხოლოდ მზე იცინოდა არხინად, თითქოს მართლა ქვეყნიერებისთვის ოქროს ეტლით მოედგნას სათნოება და სიყვარული, რომელსაც მსხვერპლად უნდა შესწირვოდა ბეთლემის ჩჩვილთა უმანკო სისხლი.

დ. კასრაძე.



ქ. ბა.

ნახატი ი. აუბერტისა.

გ მ ი რ ი


განთიადის ჟამს უცხო ცის ქვეშ, შორეულ მხარეს,
სისხლიან ველზე დაკოდილი დაეცა გმირი.
ის ვაჟაკურად უმკლავდება ტყვილებს მწარეს
და საზეიმო სიხარულით უცინის პირო.

დაე, მას გულში მოწამლული ისარი ესოს,
დაე ჭრილობა აუტანელ სიმაკართ სტეხდეს,—
მან გადასწყვიტა სიკვდილის წინ არ დაიკვნესოს,
მან გადასწყვიტა დილის მნათობს პირნათლად შეხვდეს...

სულმა მარტივმა იღუპალი არ იცის შიში...
სულმა მარტივმა არც ეს იცის: ვინც ანგარიში
წუთი სოფელთან გაასწორა, ვინც მიიძინა,

საუკუნეთა ბნელ წილში, მისმა გმირობამ,
სიმხნე-სიმტკიცემ, ვაჟაკურმა პირდაპირობამ,—
სულყველაფერმა მასთან ერთად იპოვა ბინა...

კ. ტიქინაძე.



ქ. ბა.

ნახატი ი. აუბერტისა.

პრინცი ვაგოში

ჩემთან მოვიდა ნოემბრის ჭინკა,
ხელში მას ღვინის ეჭირა ჭიქა.
იზმორებოდა... და მოკლე ყბებით
შეკითხებოდა: ხომ წამომყვებით?..
სად დავდიოდი, მე ეს არ ვიცი,
დავძრწოდით, როგორც დამფრთხალი კვიცი,
სიჩუმე რაშით უკან მოგვზღვედა,
სიჩუმეს გულში ეხუტა სევდა.
ქალარა სჩანდნენ ველები, მთები,
დაღლილი ღმერთის მომტყდარი ფრთები.
მიწა ზეცას თუ, ცა მიწას გლოვდა,
მხოლოდ ნაღველი შავად მოსთოვდა.
ბუს ხმას აძლევდა მოთქმით ღამურა
და საწნახელზე შემჯდარი ტურა.
მიწას გაკროდა კენტავრთა ჯოჯი:
აქ იყო მეფეთ პრინცი მაგოგი...

ტ. ტაბიძე.

კვალი ხალთნაწაიდან

აქანამდის მაისია,
ვარდი გაშლად მოიწვედა;
ვარსკვლავნი და სულ ციერნი
ხილვად შენთვის მოიწვედა!
მთვარე სცილილობს მხოლოდ შეყრას
საალერსოდ მოიწვედა;
თვალთა ჩინო, თვით მოგშორდი
გული შეყრად შენდა მწვედა*)

*) ვერ გავიგეთ ვინ არის ავტორი. ძველ რვეულში კიდევ სხვა მრავალი ლექსი მოიპოვება, რომელთაც შემდეგ დავსტამბავთ.



ნუგეზი. ნახატი სიღამონ ერისთავისა



ვალ. შალიკაშვილი.
ავადმყოფობის გამო.

სურათი

ყიულიყოო!..

მამლები ყივიან, შულამე გადასულა,
გლები კერაზედ ნაკვერჩხლები ოღნავე
ჰღვივიან.

ოჯახის ბურჯი ცეცხლს აჩალებს და
გარემოს გაანათებს.

— შვილო, ბესიკ! დროა, ასდგე!
ბესიკი იშმუშნება, იშმორება...

— ადე, შვილო! გაისარჯე, დღეს
ალო ჩვენი რიგია, გუთანი დავინაზუ-
რვეთ.

გამოფხიზლდება ბესიკი, წინდა-ჭა-
ლამანს ისწორებს, წამოდგება, იჩეჩება
და მაზარას გადაიკვამს, სახრეს იგ-
დებს ილიაში, ღამე—ხარსა გაირეკავს,
უმთვაროა, ღამე ბნელი, — ცის კი-
ღურზედ ვარსკვლავები იცინიან.

ხარს აძოვებს, თვალი ღამეს შეა-
ჩვია, არ შორდება ღამე—ხარსა.
ხარბად სძოვებს ნორჩ ბალახსა, იცო-
ბნიან გემრიელად.

ღამის მეხრეც დაიმღერის:

„ღამის მეხრე ვარ, — ტლუ ბიჭი,
დავდივარ ღამე, ბნელია;
ქალო შენი სიყვარულით
გული გადამელია“.

ყიულიყოო!..

მამლები გათენებას აუწყებენ...
რიყრაყია. ცის კაბადონზედ ვარ-
სკვლავები ჰქრებიან.

გუთანმა დაინაზურვა.
მეხრეების ოროველას ხმა ისმის:

„შეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა,
სიცივეს კაცი მოუკლავს,
საწყალი აგერ გორავსა“.

— ზედა! ზედა! გუთნის დედა იბა-
ხის.

— პეტრე! მიიკა ე წაბლა ხარი,
ხარეზი რჩება!
მეხრეები ხმაურობენ, არე-მარემ ბა-
ნი მისცა.

— ა, ბიჭებო! მზის ამოსვლამ არ
გვაჯობოს! გუთნის დედაც მზიარუ-
ლობს.

ყიულიყოო!

მამალმა ფრთა-ფრთას შემოჰკრა და
ქვეყანა მზის ამოსვლამ გაახარა, მიუ-
ლოცა.

მზემ დიდებულად ამოაშუქა, ქვეყა-
ნა ბნელი გაასხივოსნა და გაანათლა
ირველი-თანაბრივ.


ბუნება ხარობს და ლალობს, მზის
სხივებს ეთამაშება.

სოფელმაც გამოიღვიძა, ხმაურობს,
შრომობს, ჩასჭიდებია ჭირ-ვარამს,
იბრძვის, მიილტვის მოწავლისაკენ.

Legatus



გუაჩუათა გუნდი.



ა. ხატისოვი. იფ! უფ! პა, პა, პა! ტრამეაი ჩვენ ჩავგზარდა!
მეზურნებო დაჰკარით! ღირეკიავ, ხაბარდა!



„ზვირთის“ თევდორემ გასძაბა „სახალხოს“ თედო ღლონტსაო:
კბილებს ჩავამტვრევთ მუშები, თუ კი შეიცვლი ფრონტსაო.



სერგო გარდვიქეც სარქისად
„ნარი“ ვარ კარვად ნარევი;
ვიძახი, რასაც ჩამძახებს
„სლოვო“, „მშაკი“ და „არევი“!

იუგოსლავი მხედრე



ნეიტრალი სახელმწიფო. ვინც რა უნდა თქვასო,
ომბა ჩემთვის ფქვასო!



სტირიან კლუბის ქალები
ლოტოს რად ჰკეტვენ ამ დროსა
ვერ დავიძახებთ „დავოლნას“
ველარ მოვიყვანთ „ამბოსა“!